დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109250281**
თარიღი:**28/01/2025**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შპს ,,სელფი მობაილისათვის'' ქ. დმანისში, წმ.ნინოს ქუჩა №56-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის სახურავზე არსებული ფართის იჯარით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის, მე-2-ე პუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს მობილური კავშირგაბმულობის კომპანია შპს ,,სელფი მობაილს''(ს/კ 204450584), ქ. დმანისში, წმინდა ნინოს ქუჩა №56-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 4538,00 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 82.01.46.081) განთავსებული 2035,00 კვ.მ შენობა-ნაგებობის სახურავზე არსებული 12,00 კვ.მ ფართი, სარგებლობის უფლებით, იჯარით, 5 (ხუთი) წლის ვადით და საიჯარო ქირის საფასურის ოდენობა განისაზღვროს 9240 (ცხრაათას ორასორმოცი) ლარი წელიწადში.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი